საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება №1002/ი

24 10 2019 წ.

ქ. თბილისი

სსიპ კოლეჯ „მერმისის" პროფესიული მომზადების პროგრამების დადასტურების შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების ხარისხის უზრუნველყოფის ქვეპროგრამის კოორდინატორის 2019 წლის 18 ოქტომბრის №1415290 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების" მე-12 მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტების, მე-16 მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების" მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დადასტურდეს სსიპ კოლეჯ „მერმისის" პროფესიული მომზადების პროგრამები:
ა) ქართული სამზარეულოს ძირითადი კერძების მომზადება (მესამე დონე);
ბ) ელექტრული მონტაჟი (მესამე დონე);
გ) ქალის სათავიანი ტანსაცმლის კონსტრუქციულ-ტექნოლოგიური დამუშავება (მესამე დონე);
დ) კედლის და იატაკის მოპირკეთება ფილებით (მესამე დონე);
ე) ძრავის კვების სისტემის დიაგნოსტირება და სერვისი (მესამე დონე);
ვ) ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება (მეოთხე დონე).
2. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის:. ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი

ეკატერინე ბაღიშვილი